



bp-ის მოლოდინები მისი მომწოდებლების მიმართ

1. ეთიკა და ნორმებთან შესაბამისობა
2. ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა
3. ფინანსური დანაშაული და რეგულაციებთან შესაბამისობა
4. მდგრადი განვითარება
5. ადამიანის უფლებები და თანამედროვე მონობა
6. დისკრიმინაციის არარსებობა და შევიწროება
7. მონაცემთა კონფიდენციალობა, კიბერ უსაფრთხოება და ინტელექტუალური აქტივები
8. საკითხების წამოწევა

ბიზნეს პარტნიორები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ჩვენი მიზნის განხორციელებაში. ეს მიზანი ადამიანებისთვის და პლანეტისთვის ენერჯის ახლებურად წარმოსახვა და 2050 წელს ან უფრო ადრე ემისიების ნულოვანი მაჩვენებლის მიღწევაა.

ჩვენი ქცევის კოდექსი განსაზღვრავს, თუ როგორ ვმუშაობთ. მასზეა დაფუძნებული კულტურული ჩარჩო "ვინ ვართ ჩვენ". ჩვენი კოდექსი აცხადებს, რომ ჩვენ:

- ვმუშაობთ ჩვენს ბიზნეს პარტნიორებთან პატიოსნების, პატივისცემის და პასუხისმგებლობის ღირებულებებზე დაყრდნობით; და
- გვსურს, ვიმუშაოთ ბიზნეს პარტნიორებთან, რომლებიც ჩვენსავით ერთგულად იცავენ უსაფრთხოების, ეთიკისა და ნორმებთან შესაბამისობის პრინციპებს.

ამ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ძირითადი მოლოდინები ბიზნეს პარტნიორებთან ერთობლივი ვალდებულებების შესახებ. ის არ ანაცვლებს კოდექსს ან მოქმედ კანონებს და ასევე არ ცვლის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ჩვენ გთხოვთ შეასრულოთ ეს მოლოდინები და გააცნოთ ისინი თქვენს თანამშრომლებს, ქვეკონტრაქტორებს, აგენტებს და სხვა ბიზნეს პარტნიორებს, რომლებიც ჩართული არიან bp-ის მუშაობაში.

1. ეთიკა და ნორმებთან შესაბამისობა

- ა. დაიცავით შესაბამისობა ყველა მოქმედ კანონთან და რეგულაციასთან.
- ბ. ხელი შეუწყვეთ და დანერგეთ ეთიკური კულტურა და ბიზნეს პრაქტიკა, რომელიც აძლიერებს უსაფრთხოებას, პატიოსნებას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და პატივისცემას.
- გ. გქონდეთ ნორმებთან შესაბამისობის ეფექტური პროგრამა, რათა უწყვეტად გამოავლინოთ და მართოთ ნორმებთან შესაბამისობის ნებისმიერი რისკი.

2. ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა ("HSE")

წარმართეთ ბიზნესი bp-ის უსაფრთხოების ლიდერობის პრინციპების შესაბამისად, რაც ითვალისწინებს: საქმიანობისა და რისკის მართვაში წინსწრებით და სისტემურ მიდგომას, მოქმედი კანონებისა და რეგულაციების დაცვას, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სფეროში მუდმივი გაუმჯობესებას. წაახალისეთ თქვენი თანამშრომლები და ბიზნეს პარტნიორები, დაუყოვნებლივ განაცხადონ ნებისმიერი უბედური შემთხვევის, ტრავმის, ავადმყოფობის ან სახიფათო მდგომარეობის შესახებ და შეწყვიტონ მუშაობა, რომელიც შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი, რათა მოხდეს შესაბამისი ზომების მიღება.

3. ფინანსური დანაშაული და რეგულაციებთან შესაბამისობა

იხელმძღვანელოთ ეფექტური პროცესებით და პროცედურებით (სწავლების, იურიდიული და ეთიკური რისკების შემოწმების და ფინანსური კონტროლის სფეროში) რათა წინსწრებით თავიდან აიცილოთ, თქვენი თანამშრომლების და bp-ის მუშაობაში ჩართული ადამიანების მონაწილეობა ისეთ საქმიანობაში როგორცაა:

- ა. **მექრთამეობა და კორუფცია.** უნდა აიკრძალოს რაიმე ღირებულის პირდაპირი ან არაპირდაპირი გადაცემა, გადახდა, დაპირება, მოთხოვნა ან მიღება (მათ შორის, გასამრჯელო ხელშეწყობისთვის) შემდეგი მიზნებით: ბიზნესის მოპოვება, შენარჩუნება ან წარმართვა, არამართებული უპირატესობის მოპოვება ან ვინმეზე, მათ შორის სახელმწიფო მოხელეებზე, არამართებული გავლენის მოხდენა.
- ბ. საჩუქრების, გართობის ან გამასპინძლების **არამართებული შეთავაზება ან ასეთი შეთავაზების მიღება.**
- გ. **სანქციების და ექსპორტის კონტროლის დარღვევები.**
- დ. **თაღლითური ქმედებები, გადასახადებისგან თავის არიდება ან ფულის გათეთრება** (მათ შორის უკანონო თანხების გადაცემა ან დამალვა ან ასეთი თანხებისთვის მოჩვენებითი ლეგიტიმაციის მინიჭება).
- ე. **კონკურენციის საწინააღმდეგო ქცევა**, მათ შორის კონკურენტებთან გარიგების ან შეთანხმების ნებისმიერი ფორმა ფასების დაფიქსირების, შეთავაზებებზე პირის შეკვრის, კლიენტების განაწილების ან მიწოდების შეზღუდვის მიზნით.
- ვ. ინტერესთა **რეალური კონფლიქტები**, ან სიტუაციები, რამაც შეიძლება შექმნას კონფლიქტი პირად და ბიზნეს ინტერესებს შორის, მათ შორის bp-ის ინფორმაციისა და რესურსების არამართებული სარგებლის მისაღებად გამოყენება.

4. მდგრადი განვითარება

ვმუშაობთ ჩვენს საქმიანობაში, მათ შორის მიწოდების ჯაჭვში, მდგრადი განვითარების დანერგვაზე. გვსურს, ხელი შევუწყოთ გარემოს დაცვასა და სოციალურ პასუხისმგებლობას ყველა ჩვენს ბიზნეს პარტნიორთან ერთად.

ჩვენი მდგრადი განვითარების ჩარჩო და ხპ-ის შესყიდვების დეპარტამენტის მდგრადი შესყიდვის პოზიცია გამოყოფს სამ ძირითად მიმართულებას: ემისიების ნულოვანი მაჩვენებლის მიღწევა, ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესება და ზრუნვა პლანეტაზე. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს ბიზნეს პარტნიორებს, რომ იმოქმედონ ამ სფეროებში, მათ შორის:

- ა. უკეთ შეისწავლონ და შეამცირონ სათბურის გაზის ემისიები.
- ბ. ხელი შეუწყონ და პატივი სცენ ადამიანის უფლებებს.
- გ. იმუშაონ წრიული ეკონომიკის პრინციპებით, ხელი შეუწყონ მასალების ხელახალ გამოყენებას და გადამუშავებას, გამოიყენონ ისინი უფრო ხანგრძლივად ექსპლუატაციის ვადაში.

5. ადამიანის უფლებები და თანამედროვე მონობა

- ა. პატივი სცენ ყველა ადამიანის კანონიერ უფლებებს და ღირსებას, შეასრულონ ბიზნესის მოვალეობები, რომლებიც განსაზღვრულია გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებით ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ.
- ბ. არ გამოიყენონ იძულებითი ან სავალდებულო შრომა, ადამიანებით ვაჭრობა, ბავშვთა შრომა, მონობა ან მსახურება. ყველა სამუშაო შესრულდეს ნებაყოფლობით, სასჯელის ან სანქციის მუქარის გარეშე და არა მოტყუებით. ეს და სხვა მოლოდინები მოცემულია [ხპ-ის სამუშაო უფლებებში და თანამედროვე მონობის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპებში](#).
- გ. მოხდეს თანამშრომლების, თემებისა და დაუცველი ჯგუფების (მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა ჯგუფები ჩამოთვლილი ნბ პუნქტში) უფლებებზე ნებისმიერი ზემოქმედების დადგენა, თავიდან აცილება, მინიმუმამდე დაყვანა ან შერბილება და გამოსწორება.
- დ. კერძო თუ საჯარო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დროს გამოავლინონ პასუხისმგებლობა და თანამშრომლების, ადგილობრივი თემების და უფლებადამცველების ადამიანის უფლებების პატივისცემა.
- ე. პატივი სცენ დასაქმებულთა უფლებებს გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ, შესაბამისი ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში. იყვნენ გახსნილი დასაქმებულთა წარმომადგენლობის ალტერნატიული ფორმების მიმართ და მხარი დაუჭირონ ჩართულობას, სადაც გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკება შეზღუდულია კანონით.

6. დისკრიმინაციის არარსებობა და შევიწროება

ვეპყრობით ყველას სამართლიანად და პატივისცემით და ველით, რომ ყველა, ვისთანაც ვმუშაობთ, იგივეს გააკეთებს. არ:

- ა. დაუშვათ უსამართლო დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე, სამუშაოზე აყვანის, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის დროს.
- ბ. მოხდეს დისკრიმინაცია რასის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნული წარმომავლობის, რელიგიის, სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ოჯახური მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ვეტერანის სტატუსის ან მოქმედი კანონმდებლობით დაცული ნებისმიერი სხვა მახასიათებლის მიხედვით.
- გ. შეეგოთ შეურაცხყოფის ან შევიწროების ნებისმიერ ფიზიკურ, სიტყვიერ ან არასიტყვიერ ფორმას. ეს მოიცავს ნებისმიერ არასასურველ ქცევას, რომელიც გონივრულად შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხყოფად, დაშინებად ან დამცირებად და ასევე სექსუალური შევიწროების ნებისმიერ ფორმას.

7. მონაცემთა კონფიდენციალობა, კიბერ უსაფრთხოება და ინტელექტუალური აქტივები

ეფექტურად გააკონტროლეთ მოქმედი კანონების შესრულება და bp-ის ინფორმაციის, სისტემების და ინტელექტუალური საკუთრების და პერსონალური მონაცემების დაცვა. ჩვენი მოლოდინია, რომ მონაცემთა და ტექნოლოგიების გამოყენება მოხდება პასუხისმგებლობით და გააზრებულად, მათ შორის უზრუნველყოფილი იქნება:

- ა. პიროვნების კონფიდენციალობის და სხვათა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების პატივისცემა.
- ბ. თქვენთვის გამჟღავნებული და მინდობილი კონფიდენციალური ინფორმაციის შესაბამისი კლასიფიკაცია, შენახვა და დაცვა.
- გ. კიბერ უსაფრთხოების ეფექტური ზომების განხორციელება არაავტორიზებული წვდომის, შეფერხების ან კიბერ საფრთხეების ალბათობის შესამცირებლად.
- დ. სწრაფი შეტყობინება და თანამშრომლობა კიბერ უსაფრთხოების ნებისმიერი ინციდენტის, დარღვევის ან სავარაუდო დაზიანების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს bp-ზე.
- ე. ციფრული ტექნოლოგიების შემუშავებისას ან გამოყენებისას ეთიკური შედეგებისა და არასასურველი შედეგების გათვალისწინება.

8. საკითხების წამოწევა

- ა. დაამკვიდრეთ “საკითხების წამოწევის” კულტურა, სადაც დაუშვებელია შურისძიება და ხდება რეაგირება წამოჭრილ საკითხებზე.
- ბ. შექმენით საშუალებები, მათ შორის საჩივრების მექანიზმები, სადაც თქვენს თანამშრომლებს, მუშაკებს, ბიზნეს პარტნიორებს, ადგილობრივ თემებს და სხვებს მიანოდეთ საშუალებები, მათ შორის საჩივრების მექანიზმები, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ ისაუბრონ შურისძიების შიშის გარეშე, თუ დაინახვეთ რაიმეს, რაც არის სახიფათო, არაეთიკური ან პოტენციურად დამაზიანებელი თქვენი ბიზნესის ან საქმიანობისთვის.
- გ. აცნობეთ, რომ პირებს, რომლებიც ჩართული არიან bp-ის საქმიანობაში, შეუძლიათ ინფორმაცია მიანოდონ bp-ის ხელმძღვანელობას ან გამოიყენონ კონფიდენციალური OpenTalk დახმარების ხაზი.

მითითებები:

დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ შემდეგი:

- [bp-ის ქცევის კოდექსი და “ვინ ვართ ჩვენ”](#)
- [bp-ის უსაფრთხო ლიდერობის პრინციპები](#)
- [bp-ს მდგრადი განვითარების ჩარჩო](#)
- [bp-ის მდგრადი შესყიდვის პოზიცია](#)
- [bp-ის ადამიანის უფლებების პოლიტიკა და სამუშაო უფლებები და თანამედროვე მონობის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპები](#)
- [გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესის და ადამიანის უფლებების შესახებ](#)

OpenTalk:

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ OpenTalk, bp-ის კონფიდენციალური დახმარების ხაზი ნებისმიერ დროს, შემდეგი არხების საშუალებით:



ზარი:

- **+44 (0) 800 917 3604** გაერთიანებულ სამეფოში
- **+1 800 225 6141** შეერთებულ შტატებში
- **+1 704 540 2242** “გადმორეკვის ზარის” ნომერი, რომელიც მიიღებს თქვენს ზარს უფასოდ თქვენთვის.
- შეგიძლიათ იხილოთ ადგილობრივი ნომრების სრული სია ვებ-გვერდზე www.opentalkweb.com



ონლაინ:

- გაგზავნეთ ონლაინ ანგარიში ვებ-გვერდზე www.opentalkweb.com